

მიაქციეთ ყურადღება!

1. ეს ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ძალაში იყო 2017 წლის 1 მაისის მდგომარეობით;
2. ითვლება, რომ ამ ამოცანაში მოტანილი ყველა თანხობრივი მონაცემი არის „ბრუტო“, ანუ მოიცავს გამოსაკლებ/დასაკავებელ გადასახადსაც.

ამოცანა № 2 მოგების გადასახადი („ესტონური მოდელი“)

შეავსეთ შპს “ACCA-06.17”-ის (საიდენტიფიკაციო №204200858, მისამართი – თბილისი, ბაქრაძის ქ. №8, დაფუძნების წელი - 2014) 2017 წლის მაისის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია და დამხმარე ცხრილები (დანართები) შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. 2016 წელს საწარმოს ერთობლივი შემოსავალი იყო 1'297'300 ლარი, ხოლო ერთობლივი ხარჯი – 1'754'600 ლარი.

წარმომადგენლობითი ხარჯები 2017 წელს იყო:

- იანვარში – 2380 ლარი;
- თებერვალში – 3790 ლარი;
- მარტში – 1980 ლარი;
- აპრილში – 4730 ლარი;
- მაისში – 6478 ლარი.

☐ განსაზღვრეთ 2017 წლის მაისში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი წარმომადგენლობითი ხარჯების მიხედვით და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (2 ქულა).

2. 10 მაისს საწარმომ ერთი წლის ვადით შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ საწარმოს ასესხა 100'000 ლარი წლიური 25% საპროცენტო განაკვეთით.

☐ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (1 ქულა).

3. 18 მაისს საწარმომ საკუთარი დეპოზიტით (20'000 ლარი) ნაწილობრივ უზრუნველყო დამფუძნებელი ფიზიკური პირის მიერ ბანკიდან მიღებული კრედიტი – 35'000 ლარი.

☐ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (1 ქულა).

4. მაისში საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციით საწარმოს აღმოაჩნდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი 40'000 ლარის ოდენობით.

☐ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (1 ქულა).

5. მაისში საწარმომ მის დამფუძნებელ ორგანიზაციას (რომელიც არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას) 18'000 ლარად მიჰყიდა საოფისე ავეჯი, რომლის საბაზრო ღირებულებაც 27'000 ლარს შეადგენდა.

☐ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში (1 ქულა).

6. 3 მაისს საწარმომ დამფუძნებელ პირებზე გაანაწილა 2016 წლის დივიდენდი – 325'000 ლარი. გასულ პერიოდში საწარმოს შემდეგი მონაცემები აქვს:

- 2014 წლის წმინდა მოგება – 427'000 ლარი, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი – 70'000 ლარი;
- 2015 წლის წმინდა მოგება – 590'000 ლარი, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი – 120'000 ლარი;
- 2016 წლის წმინდა მოგება – 638'000 ლარი, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი – 50'000 ლარი;

□ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში (3 ქულა).

7. ზემოთ მითითებულის გარდა, იმავე 3 მაისს საწარმომ დამატებით გაანაწილა 2017 წლის შუალედური დივიდენდი – 147'000 ლარის ოდენობით.

□ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (1 ქულა).

8. მაისში საწარმომ ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისგან მიიღო 7'900 ლარის მომსახურება – მსუბუქი ავტომობილის რემონტი.

□ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში (1 ქულა).

9. 16 მაისს საწარმომ მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირს გადაუხადა 8'000 ლარი – ივნისში მოსაწოდებელი საქონლის (20'000 ლარის) ავანსი.

□ განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში (1 ქულა).

10. 23 მაისს საწარმოს დაუბრუნდა მის მიერ 2017 წლის თებერვალში გაცემული სესხი – 20'000 ლარი (რომელიც დაიბეგრა მოგების გადასახადით თებერვალშივე) და მიიღო ამ სესხზე დარიცხული პროცენტი – 5'000 ლარი. ეს პროცენტი დაბეგრილია გადახდის წყაროსთან, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

□ განსაზღვრეთ მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხები და გადაიტანეთ მონაცემი დეკლარაციაში (2 ქულა).

დავალება: გადაიტანეთ ზემოთ მოტანილი მონაცემები მოგების გადასახადის დეკლარაციაში და დამხმარე ცხრილებში, განსაზღვრეთ დასაბეგრი მოგების სიდიდე და მოგების გადასახადის თანხა (6 ქულა).